იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:
წლიურათ . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . 4 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 19
წელიწადი მეორე
— 1913 —
ხუთშაბათი, 24 იანვარი

რედაქცია მოთავსებულია ქუთაისში, ივანოვის ქუჩაზე, ვ. ი. შილაძის სახლში, (შიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს პირდაპირ).

ტელეფონი № 149.

გამოვიდა გასაყიდათ პაპიროზი „მ ა ი ა კ" ქარ. „კ ო მ ე ტ ა"
25 ც.—ორ შაურათ. 15 ც.—6 კ. ქ. თფილისი.

მიიღება ხელისმოწერა 1913 წლისათვის ყოველდღიურ გაზეთზე.

წელიწადი მეორე 1913 იმერეთი წელიწადი მეორე 1913

გაზეთის ფასი:
ერთი წლით . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . 4 მანეთი,
ერთი თვით . . 4 აბაზი
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური.

წლიურ ხელისმომწერლებს შეუძლიათ გაზეთის ფასი ამნაირათ გადაიხადონ: ხელისმოწერის დროს სამი მანეთი, პირველ მაისს ორი მანეთი და პირველ ენკენისთვესაც ორი მანეთი.

მოსწავლეებს, სათვისტომოებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი წლიურათ ეთმობათ ოთხ მანეთად, ხოლო ნოქრებსა და სოფლის მასწავლებლებს—ხუთ მანეთად. თვიურათ გაზეთი ამავე პირთათვის ღირს სამ აბაზათ. მისამართის გამოცვლა ღირს ათ შაურათ. მისამართის გამოცვლის დროს უნდა ნაჩვენები იყოს სრულათ ის მისამართი, რომლითაც ღებულობდა გაზეთს და აგრეთვე სწორათ ახალი მისამართიც; სხვანაირათ მისამართის გამოცვლა არ შეიძლება.

საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მანეთად, ნახევარი წლით 8 მან. და თვიურათ 6 აბაზათ.

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა ყველასათვის—სამ მანეთად.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ, მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით და გარეშე ცნობები ჩვეულებრივი ასოებით დაბეჭდილი თითო პწკარი თითო აბაზათ. შრომის მაძიებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, редакція и контора газеты „И М Е Р Е Т И",
სხვანაირათ გამოგზავნილ ფულსა და ანგარიშებს რედაქცია თავის დროზე ვერ მიიღებს. Антону Михайловичу Желадзе.

თავადი სეფე მაჩაბლის ასული მარიამ და კნ-ნა ნინო ალექსანდრეს ასული დადიანისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველი საყვარელი დედისა და მეორე გამზდელი დედისა კნ-ნა

ნატალია ივანეს ასულის მაჩაბლის

მეუღლას გადაცვალებას, ბინიდან გამოსვენება საკათედრო ტაძარში დანიშნულია 26 იანვარს დღით შაბათს დილის 11 საათზე, ხოლო დაკრძალვა საფიჩხიის სასაფლაოზე წირვას შემდეგ. პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 5 საათზე. ივანოვის ქუჩა, ბლიუმ-გარდის სახლი.

ილარიონ დავითის ძე ბოლქვაძე შვილებით ულრმეს მადლობას უცხადებს ყველას, ვინც წერილობით თუ პირადათ მონაწილობა მიიღო მათ მწუხარებაში

ეფემია ალექსანდრე ეფენდ-ოღლის ასულის ბოლქვაძის

მეუღლის გარდაცვალების გამო.

ქ. ქუთაისში
ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
საბუღალტერო კურსები
გ. გ. გიგინეიშვილისა.

ვრიდან იხსნება კურსებზე მეორე განყოფილება. მსმენელები მიიღებიან ოთხი ასის მოწმობით (გიმნაზია, საქალაქო თუ სასულიერო სასწავლებელი). კურსი ათი თვისაა. სწავლის ფული ასი მან.
თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (თფილისის ქუჩა).

ქუთაისის მოვაჭრეთა საყურადღებოთ.
თეატრ რადიუმში
1 იანვრიდან 1913 წ.
იყიდება ადგილები
სცენის ფარდაზე
განცხადებების და რეკლამებისათვის.
რველთ შეუძლიათ მიმართონ თეატრ რადიუმის დირექციას, ყოველდღე საღამოს 7 საათიდან.

ბენეფისი მარო მდივნისა.

ხუთშაბათს, 24 იანვარს 1913 წ. ქუთაისის ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება

პატარა კოლეტა

მოზარდი ქალის სიყვარული.
(კომ. 4 მოქმ., თარგ. სანდალაძის)
რეჟისორი მ. ქორელი.
დასაწყისი საღ. 8½ საათზე —::— ადმინისტრატორი გ. ურუშაძე.

ВЫИГРЫШНЫЕ БИЛЕТЫ
ЛЬГОТНЫЯ УСЛОВІЯ.
ДОСТУПНО ВСѢМЪ.
ПРОСПЕКТЫ БЕЗПЛАТНО.
БАНКИРСКІЙ ДОМЪ:
Л. В. ЛАНДАУ и К°
ВАРШАВА БРАТСКАЯ 18

ПАПИРОСЫ
ГОЛУБКА 10 шт. 3 коп.
ФАБРИКИ А. ЭНФІАДЖІАНЦА

ПАПИРОСЫ
ЭКСТРА
15 шт. 6 коп.
ФАБРИКИ А. ЭНФІАДЖІАНЦА

ФАБРИКИ
А·ЭНФІАДЖІАНЦА
ПАПИРОСЫ
ИНТЕЛЛИГЕНТНЫЯ
ЦѢНА 25шт. 15к.
10ш. 6к. 100ш. 60к.

ბებია ქალი
ო. დონდუას ასული
ექიმ კაკიტელაშვილთან ერთად იღებს თავის საკუთარ ბინაზე მშობიარე დედათ მოსალოგინებლად. ფასი მორიგებით.
პუშკინის ქუჩაზე გიტუშინსკის აფთიაქის პირდაპირ.

გამოცდილი **მასწავლებლები**
ამზადებენ ბავშებს ხელმისაწვდომ ფასათ და ბეჯითად. შეუძლიათ მოამზადონ ყველა საშუალო სასწავლებლის დაბალ კლასისთვის, აგრეთვე სასულიერო და სამოქალაქო სასწავლებლის ყველა კლასისთვის. გაკვეთილებს უსწორებენ სწავლაში სუსტებს და ჩამორჩენილებს ახალი მეთოდით. საცადი გაკვეთილები უფასოთ.
მისამართი „იმერეთის" რედაქციაში.

ექიმი გ. დ. ნასარიძე და მისი და ი. დ. ნასარიძის ასული გადავიდნენ ახალ ბინაზე, იქვე ძველი ბინის პირდაპირ რ. ს. ეზიკოვის სახლში.

ექიმი ი. ჩარექოვი.
იღებს მხოლოდ და განსაკუთრებით კანის, ვენერიულსა და სიფილისიან ავათმყოფებს. დილის 12 საათ. 2-დე; საღამოს 5—7.
ილია ჭავჭავაძის ქ. აბულაძის შესახვევი თოსელიანის სახლი.

ქ ა ლ ი ს
ექიმი ა. დ. აბაშიძის ასული შიშინაძისა იღებს ავათმყოფებს დილის 9—2 საათამდი და საღამოს 5—7 საათამდი. თფილისის ქ. ინჯიას ახლო.

ექიმი ვ. ი. ფეშინი ქირურგიული და საშარდე სნეულება ყოველდღე 12—2 და 4—6 საათამდი. გოშპიტლის ქ. გვახარიას სახლი.

დ ღ ი უ რ ი

ვენაში ებრაელების დელეგატები მივიდნენ. ესენი სალონიკის ავტონომიას მოითხოვენ.

— დიდმა ვეზირმა მაჰმუდ-შეფკეტ-ფაშამ ხონთქარს სამსახურიდან გამოსვლის ქაღალდი მიართვა. ხონთქარმა დიდი ვეზირის თხოვნა არ შეიწყნარა.

— დაშნაკცუტუნის პარტიამ ახალგაზრდა ოსმალთა ნაციონალურ ჯარში მონაწილეობის მიღებაზე უარი სთქვა.

— ენვერ-ბეი გერმანიას მიდის ოსმალეთის საქმეებზე გერმანიის მთავრობასთან მოსალაპარაკებლათ.

— მცირე აზიაში ხალხი ღელავს. მჰამუდ-შეფკეტ-ფაშის დიდ ვეზირობას არ იწყნარებს. მისგან დანიშნულ გუბერნატორებს არ ემორჩილება.

— ფლოტის აფიცრები მოითხოვენ ენვერ-ბეის დასჯასა და კაბინეტის შემადგენილობის დაცვლას. ამასვე მოითხოვს სამხედრო ლიგაც. წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებიან—სტამბოლს იერიშით ავიღებთო.

— აზიის საზღვრებზე ბოსფორსა და სკუტარს მახლობლათ ოსმალეთის ჯარი აჯანყდა.

— ტრიპოლიის ემიგრანტებმა სტამბოლში ცოლშვილი გამოიყვანეს ქუჩაში და დემონსტრაცია მოახდინეს. მოითხოვენ ფულსა და პურს.

— ათონის მფარველ სახელმწიფოთა რიცხვში ჩარევის სურვილი ავსტრიამაც გააცხადა.

— კაზანში 18 წლის მოწაფე არალეგალური ლიტერატურის გავრცელებისათვის სამუდამოთ გადასახლებით დასაჯეს.

— სამხედრო აკადემიის მედიკურ ფაკულტეტზე მოსწავლე სტუდენტებს სამხედრო ბეგარის მოსახდელათ 4 თვით გაიყვანენ.

— მოსკოვის გუბერნატორი ჯუნკოვსკი შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწეთ დაინიშნა.

— პეტერბურგში მუშების ბინებს ჩხრეკენ, ბევრი დააპატიმრეს.

— პუტილოვის ქარხანაში მუშათა გაფიცვა შეწყდა. მუშები 4½ დღეს იყვნენ გაფიცულნი. 80 მუშა დააპატიმრეს.

— ხელმწიფე იმპერატორმა პრინცი ჰოგენლოე მიიღო, რომელსაც ავსტრიის იმპერატორის ფრანც იოსების წერილი აქვს ხელმწიფესთან.

— 21 იანვარს, საღამოს 8 საათზე ადრიანოპოლთან ომი განახლდა და სროლა დაიწყეს. ქალაქის რამდენიმე უბანი ცეცხლის ალშია გახვეული.

ახირებული მსჯელობა

ჩვენს პრესაში ახლახან გამოითქვა სურვილი, რომ საჭიროა შედგეს საერთო-სასარგებლო თანხა იმ ფულიდან, რომელიც თავად-აზნაურობას უნდა მიეცეს ხაზინიდან სანადელო მიწებში. ამ თანხის გამოყენებას სხვადასხვანაირათ ფიქრობენ. ჩვენ და მრავალი სხვაც უპირატესობას სამელიორაციო ბანკის დაარსებას ვაძლევთ. აზრი, როგორც ხედავთ, მეტათ მარტივია და ყველასათვის გასაგები. ვგონებ, სადავო არაფერია იმ აზრში, რომ საზოგადო თანხის შედგენა კაი საქმეა. აქ დავა, ჩვენის ფიქრით, შესაძლებელია მხოლოდ ერთი საკითხის გარშემო—რა უფრო საჭიროა ჩვენთვის ახლა, რომელ საქმეს მოვახმაროთ საზოგადო თანხა? აქ დავა ჩვენ გვესმის, ვინაიდან, შესაძლებელია, ერთს ერთი აზრი მოსწონდეს, მეორეს—მეორე. შესაძლებელია, ერთს სამელიორაციო კრედიტის გაჩენა დიდ სახალხო საქმეთ მიაჩნდეს, მეორეს კი სწავლა-განათლების საქმეზე ამ თანხის გაღებას ამჯობინებდეს და სხვ. და სხვ. ამ საკითხის ასე თუ ისე გადაჭრა ინტერესთა შეგნების, გამჭრიახობის და, თუ გნებავთ, გემოვნების საქმეა.

ხოლო არ გვესმის, მეტად გვაოცებს, ერთობ ახირებულათ, მეტი რომ არა ვსთქვათ, მიგვაჩნია ის აზრი, რომელიც თვით ასეთი საზოგადო თანხის შედგენას ეჭვის თვალით უცქერის და არა თუ ეჭვის თვალით, ამ განზრახვას იგი აზრი ავაზაკობას, თვალთმაქცობას ეძახის. არ გჯერათ განა? აბა, წაიკითხეთ ბ. მოსულის წერილი, „მერცხალში“ (№ 16). რას გვეუბნება უცნაური ლოღიკის პატრონი ავტორი?

ბ. მოსულს, რომელსაც თავის მოვალეობათ მიაჩნია, ამცნოს საზოგადოებას კლასიურ და ერის ინტერესების საზღვრები სცოდნია, თურმე, „რომ გაბატონებული კლასი მუდამ მთელი ერის სახელით ლაპარაკობს და თავის წმინდა კლასიურ ინტერესებს საზოგადო ეროვნულ ინტერესების მანტიაში ახვევს“. და რაკი ეს სცოდნია, ადვილია და ჩვენთვისაც გაბატონებული კლასის იდუმალი ზრახვანი თავზე მოუხვევია. თურმე ნუ იტყვით, ყველა ისინი, ვინც ამა თუ იმ წინადადებას იძლევიან, რომ იმ რვა მილიონიდან, რომელიც ქართველ თავად-აზნაურობას უნდა გადაეცეს ხაზინიდან, როგორც სანადელო მიწების სასყიდელი, რაიმე საერთო—სახალხო ფონდი გაჩნდეს,—ყველა ესენი ვიწრო კლასობრივ ინტერესებზე ზრუნავენ, ხოლო ხალხის კეთილდღეობა სხვისი მოსატყუებელი მანტიაა! რაკი ასე ფიქრობს ჩვენზე ავტორი, ის ამის გამო დიდ გულისწყრომასაც ეძლევა. „უნდა გამოგიტყდეთ, სწერს იგი, ჩვენში საშინელ აშფოთებას იწვევს ამგვარი თვალთმაქცობა. ჩვენ მზათ ვართ შეუყვიროთ—გაჩუმდით, თქვე ავაზაკებო, როგორ არ გრცხვენიათ საქვეყნოთ ანაწილებთ ნატაც ფულს და იმავე დროს ხალხის ბედნიერებაზე ლაპარაკობთო“.. მისაღები ფულის „მეოთხედით უნდა ბანკი დაიარსონ; რა შუაშია აქ ქართველი გლეხი; განა ვისი სასარგებლო უფრო იქნება ეს ბანკიო“?..

დაილოცა უფალო, შენი სახელი! ეს რა გვესმის?! ავაზაკები ყოფილან დ. ყიფიანი და მთელი პლეადა სამოციანი წლების მოღვაწეთა, რომელთაც თავად-აზნაურთა მიერ გლეხებისაგან აღებული ფულით საფუძველი დაუდვეს ისეთ დაწესებულებას, რომელიც საერთო-სახალხო, მთელი ქვეყნის, მთელი ერის და არა წოდების მრავალნაირ საჭიროებას უძღვება,—და ჩვენ კი ეს არ ვიცოდით, ავაზაკები და თვალთმაქცები ყოფილან ყველა ისინი, რომელთაც სამელიორაციო თუ სხვაგვარ ბანკის დაარსებაზე ჩამოაგდეს სჯა-ბაასი. რატომ ასე გაგიტყდათ გული ჩვენზე, ბ. მოსულო? ნუთუ ვერაფრით გავხდით თქვენი და თქვენი თანამოაზრეთა ნდობის ღირსი? მართალია, მოსული ბრძანდებით, მაგრამ ჩვენი საქმეების ავანჩავანი მაინც კარგათ გეცოდინებათ. სად ან როდის ვთქვით, თუნდ ერთხელ მაინც, რომ საჭიროა ისეთი ფონდის დაარსება, რომელიც რაიმე წოდებრივი დაწესებულების აგებას, რაიმე წოდებრივი ინტერესების დაცვას ემსახურებოდესთქო? რატომ გგონიათ, რომ სამელიორაციო ბანკი წოდებრივი დაწესებულება იქნება? თუ სამელიორაციო კრედიტი სამეურნეო გაუმჯობესებისათვის გაცემული სესხია, მაშ რა საფუძველი გაქვთ, რომ ასეთი სესხით მარტო თავადი ან აზნაური ისარგებლებს? მიწათმოქმედი კლასი ხომ გლეხობაა და არა თავად-აზნაურობა და მაშ ვინ იქნება უმთავრესათ ასეთი ბანკის კლიენტი? სამელიორაციო ბანკი უაღრესათ სახალხო ბანკია. თუ მკითხავთ, უფრო მეტი საფუძველი ამ შემთხვევაში თავად-აზნაურობას აქვს სთქვას: მისაღებ თანხის მეოთხედით გსურთ ბანკი დაიარსოთ, მაგრამ აქ თავად-აზნაურობა რა შუაშია?

გეთანხმებით, სასყიდლით შეხსნა სანადელო მიწებისა, ეს დიდი უსამართლობაა გლეხობის მიმართ, ვინაიდან ამ გლეხობას მრავალგზის გადახდილი აქვს იმ მიწების საფასური. მაგრამ როდესაც ამ უსამართლობას ჩადიოდენ, მაშინ არც მე მკითხავდენ და არც თქვენ, ხოლო პრესის საშვალებით კი ჩვენი აზრის გამოთქმას ამის შესახებ არ ვაკლებდით, როგორც ეს თქვენ გგონიათ.

მაგრამ სწორეთ უფრო იმიტომ, რომ გლეხობას, ისეც ათასნაირათ დაჩაგრულდაბეჩავებულს, დიდის უსამართლობით მოეპყრენ და სრულიად უსაფუძვლოთ ახალი გადასახადი დაადვეს კისერზე,—აი, სწორეთ ეს გარემოება უფრო მეტს ზნეობრივ უფლებას გვაძლევს, რომ მისგან აღებულ და თავად-აზნაურობაზე გადაცემულ ფულიდან ნაწილი მაინც ისევ იმ მშრომელ ხალხს დავუბრუნოთ, რომელსაც ეს ფული ასე უსამართლოთ გამოსტაცეს.

ყოველი ქვეყნის ბურჟუაზიის ქონებაც ხომ ასეთი უკანონობის და უსამართლობის შთამომავლობისაა? მაგრამ, ცუდს ვიზამდით მე და თქვენ, რომ ამ ბურჟუაზიას მისი ქონებიდან რაიმე გავაგდებინოთ და რომელიმე საქვეყნო, საერთო-სასარგებლო ანუ მთელი ერის რაიმე საჭიროების დამაკმაყოფილებელი დაწესებულება ავაგოთ? ნუთუ ეს „თვალთმაქცობა და ავაზაკობა იქნებოდა“, როგორც თქვენ ბძანებთ? როგორც ვიცით პრაქტიკიდან არც თქვენ ამბობთ უარს ასეთ ქონების აღებაზე და იმის საზოგადო საქმისთვის გამოყენებაზე. და თუ ეს ასეა, იგივე ჩვენ რატომ გვეკრძალვის? რატომ არის, რომ როდესაც ჩვენ განვიზრახეთ საზოგადო საქმის გაჩარხვა თავად-აზნაურობის ფულით, ეს თქვენ იმ წამსვე თვალში გეცათ და „თვალთმაქცობასა და ავაზაკობას“ გვიკიჟინებთ? რატომ ერთ შემთხვევაში გესმით და მეორე შემთხვევაში კი არ გნებავთ გაიგოთ, რომ სჯობს უსამართლობით ამოღებული ფულის ნაწილი მაინც ქვეყნის კეთილდღეობას მოხმარდეს საზრიანათ, ნაყოფიერათ, ვიდრე კერძო ჯიბეებში დაიფანტოს უაზროთ და უნაყოფოთ, ქეიფსა და განცხრომაზე?

მაგრამ ვგრძნობთ კი თქვენი გულის წყრომის მიზეზს. რაღაი გაწყრა ღმერთი და წინადადება საზოგადო თანხის გაჩენაზე თქვენ იდეურ მოპირდაპირეთა ბანაკიდან გამოვიდა, როგორ იქნებოდა რომ ამისათვის თქვენ დასტური დაგეკრათ, როგორ იქნებოდა, რომ ამაზე თქვენც ხელი მოგეწერათ, თუნდაც ჩვენი აზრი, წინადადება თვით ხალასი ჭეშმარიტება იყოს? ეს ხომ ქვეყნის დაქცევა იქნებოდა? თუ სოციალურ-პოლიტიკური აზროვნების სხვადასხვაობა ანუ პარტიობა თქვენ ისე გესმით, რომ თუ სხვისთვის ორჯერ ორი ოთხია, თქვენთვის კი ეს უეჭველათ ხუთია, მაშინ თქვენი ამ შემთხვევაში გამოკამათება, თქვენი სულის აშფოთება, ადვილათ გასაგებია, ხოლო ჩვენ ასეთ ლოღიკას ჯერჯერობით ვერ შევრიგებივართ და ამიტომაც, ნურას უკაცრავათ, თუ თქვენი მსჯელობა ახირებულათ მიგვაჩნია.

გრ. გველესიანი.

ახალი ამბავი.

როგორც ამბობენ, ქუთაისის გუბერნიის სახალხო შკოლების დირექციას მოხსენება წარუდგენია სამოსწავლო ოლქის მზრუნველისათვის შესახებ იმისა, რომ ქალაქის პირველდაწყებითი სასწავლებელთა ყველა მასწავლებელი დათხოვნილი იქნენ სამსახურიდან, რადგან მის მოთხოვნილებას არ ასრულებენო.

✦ ქალაქის საბჭომ 21 იანვარს დაადგინა, რომ გამგეობის წევრს დენიშნოს წლიური ჯამაგირი 2100 მანეთი ნაცვლათ 1800 მანეთისა.

✦ ქალაქის საშკოლო კომისიის სხდომა, რომელიც 23 იანვარს უნდა მომხდარიყო, გადაიდო 24 იანვრის საღამოს 8 საათისათვის. კომისიამ უნდა განიხილოს სახალხო შკოლების დირექტორის განკარგულება 1 საქალაქო სასწავლებლის გამგის ოდიშარიას და 3 სასწავლებლის მასწავლებლის ბ. ნაცვლიშვილის დათხოვნის შესახებ, აგრეთვე უნდა აირჩიოს მასწავლებელი ილია ჭავჭავაძის სახელობის სასწავლებლისათვის.

✦ ქალაქში განცხადებების გაკვრის უფლება იჯარით აიღო ა. ჰიჭინაძემ წლიურათ 410 მანეთად. ჰიჭინაძე ვალდებულია თავის ხარჯით დადგას იმ ადგილებზე, სადაც ქალაქის გამგეობა უჩვენებს, 50 განცხადების ბოძი, აგრეთვე გააკეთოს 3 კიოსკი, სადაც გაიყიდება თუთუნი, პაპიროსი და გაზეთები.

✦ სასწორი მოედანზე მდებარე „ბუდკები“ იჯარით აიღო დ. ჩილინგაროვმა წლიურათ 1500 მანეთად.

✦ ქუთაისის ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი თფილისს გაემგზავრა ქალაქის საქმეების გამო, იგი გუშინ უნდა დასწრებოდა იმ თათბირს, რომელზეც, სხვათა შორის, ქუთაისის სესხის საქმე უნდა გადაწყვეტილიყო.

✦ ხვალ საღამოს შვიდ საათზე ჩვეულებრივი კრებაა შავიქვის საბჭოს დარბაზში ქუთ. ქალთა წრისა. ჩიტა შარაშიძის ასული ისაუბრებს ქალთა საკითხის თაობაზე.

✦ ვინაიდან ქუთ. ქიმიურმა ლაბორატორიამ აღმოაჩინა მაგარი სასმელებში მავნე ესენციები და ანილინის საღებავები სანიტარულმა აქიმმა მოახდინა განკარგულება, გამოუცხადონ ქიმიურ ლაბორატორიის აგენტებმა მაგარი სასმელებით მოვაჭრეებს უკანასკნელი გაფრთხილება, რათა მოსპონ მავნე სასმელების გაყიდვა, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკი ზომები იქნება მიღებული.

✦ ჭავჭავაძის ქუჩაზე, ქოიავას სახლში განუზრახავთ „საზოგადო სახლის“ მოწყობა. ამ უბნის მცხოვრებნი აშფოთებული არიან და საჩივარიც აღუძრავთ. მაგრამ, როგორც გადმოგვცეს მათი საჩივარი უყურადღებოთ დაუტოვებიათო.

✦ მოვაგონებთ ჩვენს მკითხველს, რომ დღეს ჩვენ თეატრში მარო მდივნის ქალის ბენეფისია და წარმოდგენილი იქნება პირველათ ახალი პიესა „პატარა კოლეტა“.

✦ პარასკევს, 25 იანვარს ქუთაისის თეატრში დანიშნულია საზოგადო კრება, დამსახურებული მსახიობის ვლ. მესხიშვილის 30 წ. იუბილეს მოსაწყობი კომიტეტის ამოსარჩევათ.

✦ იმედია, ჩვენი საზოგადოება დაესწრება ამ კრებას, რომელიც მესამეთ ინიშნება და არ შესდგა.

✦ შაბათს, 26 იანვარს, წარმოდგენილი იქნება „სამშობლო და სიყვარული“—იაფ ფასებით.

✦ აკაკი წერეთელი 21 იანვარს მოსკოვიდან თფილისს დაბრუნებულა.

✦ ბათომში ქართული „ბათომის გაზეთის“ გამოცემა განუახლებიათ.

ელექტრო-თეატრ „რადიუმში დღიდან ბულგართა ცხოვრებიდან უჩვენებენ სურათებს.

✦ ქართველი მსახიობი ვ. გუნია მძიმე ავათაა.

✦ იანვრის ბოლო რიცხვებში მესხიშვილის მონაწილეობით ადგილობრივ თეატრში „ყაჩაღებს“ წარმოადგენენ.

✦ ბათომში 26 იანვარს მოგზაური დასი „ედმონდ კინს“ წარმოადგენს. წარმოდგენაში მონაწილეობას მესხიშვილი მიიღებს.

✦ აქიმებმა შეამოწმეს ბრალდებულის დასწრებით ავათმყოფი პატიმარი ევგენი დვალი, რომელიც დიდიხანია ჭკუა შერყეულია.

✦ პროკურორი შეეკითხა დვალს: დვალო, მეფეს იცნობთ თუ არა? როგორ არა, მეფესთან ლიტერატურული პოლემიკა მქონდა გამართული, ასტრონომიაზე ვედავებოდი. მე თვით მეფე ვარ, მეფეთა მეფე, ღმერთების ღმერთი, დიდი ევგენი ნიკოლოზის ძე დვალი! ამ ჟამათ დვალი სატუსაღოს საავათმყოფოშია მოთავსებული.

წერილები რუსეთიდან.

პეტერბურგი. 15 იანვარი, ორი წლის დასვენების შემდეგ, პეტერ. ქართველმა სათვისტომომ ჩინებულათ მოაწყო ტრადიციული საღამო და არაჩვეულებრივი შრომა, რომელიც წელს იკისრა სათვისტომომ, ღირსეულათაც დააგვირგვინა. ეს საღამო ბევრი მხრით იყო შესანიშნავი:—მდიდრული კონცერტული განყოფილებიდან დაწყებული ვიდრე მგოსნის აკაკის სტუმრობამდი: კონცერტული განყოფილებაში მონაწილეობას იღებდა, საიმპერატორო რამდენიმე არტისტთა გარდა, გამოჩენილი მომღერალი ნ. ს. სობინოვი, რუსის საყვარელ არტისტს ქართველმა სტუდენტობამაც ღირსეული პატივისცა ყვავილებისა და საჩუქრის მირთმევით. სამწუხაროა, რომ ქართულ სიმღერებს, როგორც ყოველთვის, მცირე ადგილი ქონდა დათმობილი; მართალია, ამას თავისი გასამართლებული მიზეზებიც აქვს, მაგრამ, ჩემის აზრით შემდეგისათვის მაინც; ყოველ გვარი დაბრკოლება უნდა დაიძლიოს და ჩვენს სახალხო სიმღერებს მეტი ადგილი უნდა მიეცეს. მშვენიერათ შეასრულა (დუეტი) ,,გაზაფხული,‘‘ ბალანჩივაძის მუსიკა, ჩვენმა ახალგაზდა მომღერალმა ა. დოლიძემ და მომღერალმა ქალმა ოკუნევამ, იმღერეს აგრეთვე ბალანჩივაძის ლოტბარობით რამდენიმე ნუმერი მისივე ოპერებიდან, რისთვისაც საზოგადოებამ ტაშის ცემით დააჯილდოვა კომპოზიტორი. დიდი აღტაცება გამოიწვია საზოგადოებაში დაირზე და ჭიანურზე ლეკურისა და უზუნდარას თამაშმა, და უფრო კი უზუნდარას, რომელიც ქალბ. ფონ კნეისტის წყალობით, მართლაც, მომხიბვლელი იყო. ბარონესა საზოგადოებამ რამდენჯერმე გამოიწვია სათამაშოთ..

მხატვრულ გემოვნებაზე მოაწყო კიოსკები ჩვენმა ახალგაზდა მხატვარმა კ. ქავთარაძემ; ქართული ხუროთ მოძღვრების რიგის (სტილი) სვეტები, და ქართულსავე ჩუქურთმებით შემკული კამარები და სხვ.

არაჩვეულებრივი მხიარულება დაბადა საღამოზე მგოსანმა აკაკიმ. საკონცერტო განყოფილების პირველი ნაწილი უკვე თავდებოდა, რომ უცებ მოისმა გაცხარებული ტაშის ცემა. დარბაზში აკაკი შემოსულიყო. ეროვნული ტანისამოსებში გამოწყობილ ახალგაზდებს მოყავდათ ხცოვანი მგოსანი ფართე, გამომეტყველ სახეს ჩვეულებრივი ღიმილი უმშვენებდა. საზოგადოება პირველათ დაიბნა, არ იცოდა რა ამბავი იყო, მაგრამ მალე იგრძნო, რომ მოყავდათ ერის სათაყვანებელი მგოსანი. უმწვერვალესი აღფრთოვანება ელექტრონივით მოედვა დარბაზს.

აღტაცებული სახით მიესალმა აკაკის მომღერალი სობინოვი და ორი დაფნის გვირგვინით დააჯილდოვებულის მისალმებამ, კიდევ მეტათ გაიტაცა და აალელვა დამსწრე საზოგადოება... ვაშასა და გაცხარებული ტაშის ცემას საზღვარი არ ქონდა. კონცერტულ განყოფილებას შემდეგ გაიმართა ნადიმი... რამდენიმე ახალგაზდა სავსე ჭიქებით მივიდა აკაკის სუფრასთან და მომღერალი ა. დოლიძის მეთაურობით მშვენივრათ შეასრულა მრავალ ჟამიერ და სამადლობელი. აკაკიმაც აღტაცებული, მოცინარი სახით გრძნობიერი სიტყვით მიმართა იქ მყოფ ახალგაზდობას, „ჩვენს (ძველი თაობის) მოღვაწეობაში და მოქმედებაში თქვენც ახალგაზდებსაც ვიდევთ წილიო,—სთქვა აკაკიმ; ჩვენს დროში ძალიან ცოტა იყო ისეთ პირთა რიცხვი რომელთაც შეეძლოთ შეგნებულათ ეფიქრათ ქვეყნის საკეთილდღეო მოქმედობაზეო, მაგრამ ეს იმედს არ გვიკარგავდა... ჩვენ თქვენ მოგელოდით, თქვენ გიცდიდით. გვამხნევებდა ის იმედი, რომ მამების დაწყებულ საქმეს შვილები განაგრძობდით და კიდეც დაამთავრებდითო. მართლაც, მოლოდინი გაგვიმართლდა, თავისი ერის საკეთილდღეოთ მებრძოლთა რიცხვი დღითი დღე მატულობს! არაფერია, თუ სხვადასხვა გზით მიდიხართ—ეს ბუნების კანონია,—ნათქვამია ,,ყოველ გზას რომში მიყავსო,“—დაასრულა აკაკიმ. აკაკის მოხდენილმა სიტყვამ გაიტაცა საზოგადოება და ვაშას ძახილით ერთად მგოსანს ქალი-შვილებმა ყვავილები მიართვეს. საერთო აღტაცებას შეუერთდა თფილისის გუბერნიის დეპუტატი სკობელევი (სოც. დემოკრატი), რომელიც სხვათა შორის, ევგენ გეგეჭკორთან და აკაკი ჩხენკელთან ერთად აკაკისთან საერთო სუფრაზე ვახშმობდა. გრძნობიერი სიტყვებით მიმართა გეგეჭკორმა ა. ჩხენკელმა და სკობელევმა აკაკის, რომელმაც უკანასკნელს რუსულათვე უპასუხა და თავის ცხოვრებაზე ოპტიმისტური შეხედულებით აღტაცებაში მოიყვანა ყველა იქ მყოფი. დაინტერესებულმა საზოგადოებამ თანდათან დაიწყო აკაკის გარს მოგროვება და გაფაციცებით უყურებდა, რას იტყოდა მგოსანი. ევ. გეგეჭკორმა დაახლოვებით შემდეგ სთქვა: მე მსურს, ბატონებო! აღვნიშნო ის გარემოება, რომ ის აღტაცება და აფრთო-
ვანება, რომლითაც ჩვენ ვეგებებით
კის სრულიად დამსახურებული, მის
აკაკი ძვირფასი თვალია თავისი ხალხის
თვის, [illegible]
ყრობა მას: აკაკი სიამაყეა თავისი
[illegible]
ვთქვა, რომ წინ არის იმ ხალხის მომა
ლი, რომელსაც შეუძლია ასეთი აღმა
ნი დაბადოს... აკაკის მშობლებს უფ
ბა აქვს სწორუფლებოვანი და თავი
ფალი იყოს კაცობრიობის სხვა ხალხ
შორისო. მიიღე ჩემგან,—დაასრულა
გეგეჭკორმა, უგულითადესი თანაგრძ
და პატივის ცემა ჩემი ამხანაგებისა
ყველა იმ ქართველ ხალხის საზოგა
ების მაგიერ, რომელსაც თქვენ მიაჩ
ხართ ქართველი ერის ღირსეულ შვი
თო. გეგეჭკორის სიტყვამ ცხარე ტა
ცემა და ვაშას ძახილი გამოიწვია,—
დევ მრავალ ჟამიერი, კიდევ-გაორკ
ბული მხიარულება. ნასიამოვნები აკა
შინ წასვლის დროს გარს შემოეხ
ქართველი სტუდენტობა და მრავალ
მიერისა და ვაშას ძახილით დარბაზ
გააცილეს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გარე
მხარეს მატერიალური მხარეც არ და
დება, მითუმეტეს რომ ამ საღამოს,
არა ოფიციალურათ, დახმარებას უწ
კნ. ტატიანა მუხრანსკისა, რომლის
ხმარებითაც შესაძლებელი გახდა სათ
ტომოსთვის მოეწვია, სრულიად უსას
ლოთ, ისეთი არტისტი, როგორიც
სობინოვი და სხ. საიმპერატორო თე
რის მომღერლები.

დამსწრ

დიდი ჯიხაიშის მასწავლებლებ

(წერილი რედაქციის მიმართ).

,,იმერეთის‘‘ მე-8 ნუმერში წაიკ
ხე შემდეგი ცნობა ს. დ.-ჯიხაიშ
„ადგილობრივი მასწავლებლები უფ
რად ღალატობენ პედაგოგიურ ჭეშმა
ტებას. ამ ღალატით უნდათ გრომბ
კრუპსკების გული მოიგონ და ჩინ
დენებით დაჯილდოვდენ. ეს მასწავლე
ლები მოწინავე ელემენტებათ ითვლებ
სოფელში. ეს ,,მოწინავე ელემენტ
გრომბჩევსკის არა პედაგოგიურ მოთ
ნილებას დიდი სიამოვნებით მიეგებ
და სხვ...

აგერ ხუთი წელიწადია თვალ-ყუ
ვადევნებ დიდი-ჯიხაიშის მასწავლებ
ბის მოქმედებას და, ამ ცნობას შემ
მსურს ორიოდე სიტყვით გაუზი
მკითხველს ჩემი შთაბეჭდილებანი.
დიდი-ჯიხაიშის მასწავლებლებისადმი
დიდი ბრალდებაა წამოყენებული, მაგ
ყოველივე მოვლენას თავის მიზეზები
და მკითხველმაც სწორეთ აქ უნდა ეძ
მათი გასამართლებელი საბუთები.
არ ვყოფ იმ გარამოებას, რომ დიდი
ხაიშის სასწავლებელში ,,დღეს ქართ
ენის სწავლება მართლა არა სასურ
ნიადაგზეა დაყენებული. (არ სწორ
თანახმად 1881 წლ. პლანისა).
ენის სწავლება გიორგობისთვის შუა რ
ხვიდან დაიწყეს. უკიჟინებენ „გრომბ
არა პედაგოგიურ მოთხოვნილებას
სიამოვნებით შეეგებენო‘‘. გრომ
კრუპსკის მოთხოვნილებამ მასწავლებ
ბი უკიდურეს მდგომარეობაში ჩაა
არ იცოდენ რა ექნათ... ბევრი ეც
გაეგოთ, თუ რა ხდებოდა ამ მოთხო
ლების შესახებ მახლობელ სასწავლებ
ში, მაგრამ ამაოთ... არსაიდან არა
ესმოდათ... სდუმდა გრომბჩევსკი-კრუ
მისაგან არც-მარე... ხმა არსაიდან
და საქმე კი ოფიციალურ ხასი
ღებულობდა... უბძანებენ—დიდი-ჯი
შის სასწავლებელი ნორმალურ
სასწავლებელია და უსათუოდ რუსუ
სწავლება ეკენისთვის პირველ რიცხ
დან დაიწყეთო. როგორც ვიცით,
მასწავლებლებმა ამ მოთხოვნას უარ
ათხოვეს, მაგრამ ბოლოს დარწმუნებ
ნი, რომ ,,მაშველი ხელის‘‘ პოვნა
ვანდელ სახალხო შკოლების მასწ
ლებში არ შეიძლებოდა, ვადაწყვ
ლექსიური განყოფილების გავლა გ
გობისთვის შუა რიცხვებიდან. სხვა
უნდა ექნათ?!! მართალია, მათს
მოქმედებაში სალი პედაგოგიური
ციპის ღალატი გამოსჭვივის, მაგრამ
კითხებით: თქვენ, რომ ყოფილიყავით
ადგილზე როგორ მოიქცეოდით!!!
ნიღაბი, ბ. კორესპონდენტო,
წრფელათ სთქვი ყველაფერი.
1905 და 6 წლები და თქვენთვის
რა იქნება, თუ რა ხალხია ,,უმრავლ
ბა დღევანდელი ჩვენი მასწავლებლ
იყო დრო, როდესაც დიდი-ჯიხაიშის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავლებლები მედგარ წინააღმდეგობას უწევდენ ასეთ უკანონო მოთხოვნას, მაგრამ ბოლოს გამოვიდა ის, რომ ესენი ბრძოლის ველზე მარტო დარჩენ და სხვები კი, 99%, უდარდელათ განაგრძობდა გრიზდოვ-კრუპსკების მოთხოვნისამებრ მოღვაწეობას... დიდი-ჯიხაიშის მასწავლებლებს კი-ზოგს სვანეთში გზავნიდენ და ზოგსაც, როგორც უვარგისს (რუსული რათ არ ასწავლეთ) დაუპირეს გაგზავნა მალაკში, რუსული სანიმუშო გაკვეთილების მოსასმენათ, ვინაიდან იქაური მასწავლებელს კარგათ ჰქონდა დაყენებული რუსული ენის სწავლება პირველ განყოფილებაში, და ასეთი სახელ-განთქმულები განა ცოტაა?! არა. მათი სახელი ,,ლეგიონია''. რაღა შორს წავიდე—თვით დიდი-ჯიხაიშელ მასწავლებლებში, სურთო დადგენილების წინააღმეგ, ორ მასწავლებელს: ერთ ქალს და მეორე ვაჟს რუსული ენის სწავლება ჩუმად მალულათ დაეწყოთ (ესენი ახლა აქ აღარ ბძანდებიან, ეს იყო 1909 და 10 სამოსწავლო წელში). გადავხედოთ კიდევ დღევანდელ ჩვენ მასწავლებლობას. რას წარმოადგენს ის?! მოიძებნება თუ არა მასში ნაპერწკალი მთლიანობისა, ერთსულოვნების?! არა. დღეს ის იმდენათ დაბეჩავებულ-დამონებულია სულით და გონებით, რომ არამც თუ დირექტორ-ინსპექტორის გადაუვალს იზამს რასმეს სოფლის მამასახლისაც კი დაუჩოქებს წინ, თუ კი ამას მისთვის პირადი საჭიროება მოითხოვს. ასე თუ ისე, დღეს მასწავლებლების უდიდესი ნაწილი მოკლებულია არა თუ მებრძოლ სულს, არამედ იმ თავის დაცვის ინსტიკტსაც კი, რომელიც ყოველ ცოცხალ არსებას აქვს ბუნებისაგან მინიჭებული ეკალ-მაყვალი კი ფესვებს იკეთებს და რა უნდა ქნას გრთმა და ორმა?!

პიტნა.

დეპეშა.

პეტერბურგის დეპ. სააგენტოსაგან.

ომი ბალკანეთზე.

ვენა. გარეშე საქმეთა მინისტრმა ვენიზელოსი ინახულა.

სტამბოლი. გალიპოლში ბრძოლა დაიწყო, მაგრამ ტელეგრაფის წახდენის გამო ცნობები არ მოგვდის.

მაჰმუდ შეფქეტ-ფაშა მთავარ ბინაზე წავიდა. ჩატალჯაში ჯერ მშვიდობაა.

დურაცო. სერბიის მთავრობამ ასწია შემოსატანი საქონლის ბაჟი; წუმწუმაზე, მარილზე, ნავთზე, სპირტზე, პაპიროსის ქაღალდზე, შაქარზე, ყავაზე, შოკოლადზე და მაგარ სასმელებზე. ეს სამხედრო გადასახადის ნაცვლად მოხდა; მაჰმადიანების მხრით ამ ამბავმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

სოფია. ოფიციალური ცნობებით ადრიანოპოლთან სროლა ატყდა 21 იანვარს საღამოს რვა საათზე და მცირე ხანს შეწყვეტას შემდეგ ისევ განახლდა 22 იანვარს. ადრიანოპოლის რამდენიმე უბანი ცეცხლის ალშია გახვეული.

ლონდონი. პრესა იმედობს, რომ ომი ხანმოკლე იქნება და ახლო მომავალში ზავი ჩამოვარდება.

სოფია. გაზეთი „მირ“-ი პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ ბულგარეთის ზოგიერთი მოყვრები ნიშს უგებენ ბულგარეთს მოუთმენლობისათვის. გაზეთი აღნიშნავს ოსმალეთის ჯიუტობას, რომელიც არ გაყვა სახელმწიფოთა კოლექტიურ ნოტას. ბულგარლებს 1½ მილიონი ჯარისკაცი ყავთ. მოლაპარაკება არაფერ შედეგს მოიტანს ოსმალეთმა ან სავსებით უნდა მიიღოს სახელმწიფოთა ნოტა, ანა და დღესვე ომი უნდა განახლდეს, მაშინ ლაპარაკი ადრიანოპოლზე კი აღარ იქნება, არამედ სტამბოლზე და დარდანელზე.

სტამბოლი. სარწმუნოების და იუსტიციის განყოფილებათა დირექტორისა და სომხების პატრიარქს შორის მოლაპარაკებაა იმის შესახებ, რომ ქურთები იტაცებენ სომხის ქალწულებს, ნამუსს ხდიან. ცარცვა-გლეჯა, ბოროტება სომხითა სოფლებში გამეფებულია. შეშინებიანი მცხოვრებნი უკიდურეს მდგომარეობაში არიან.

,,რეიტერის'' სააგენტოს გაუგია: ახალი მოღვაწეები ოსმალეთისა იმ დასკვნამდი მივიდენ, რომ ომის თავიდან ასაცილებლათ ადრიანოპოლის დათმობა მზათ არიანო, იმ პირობით, რომ ადრიანოპოლი და გარშემო მხარე რუმელიის მზგავს ავტონომიურ სახელმწიფოთ გამოცხადდესო.

,,ოტმანის სააგენტო იუწყება: პორტამ თავის დელეგატებს შეუთვალა—ომის ფაქტიურათ განახლებამდი ლონდონში დარჩითო.

ოსმალეთის ჯარებს ჩატალჯაში ბძანება მიუვიდათ სანამ ბულგარეთმა არ დაიწყოს ბრძოლა, თქვენ გაჩერდითო.

ბუქარესტი. სტამბოლიდან იუწყებიან ოსმალეთის ჯარში განხეთქილებაა აფიცრები, რომელთაც პოლიტიკური წრეები გააუქმეს, ერთმანეთს მტრობენ, ჯარის ნაწილი დაიღალა დიდიხნის ლოდინით და მძიმე პირობაში ცხოვრებით. არაბეთიდან მოსული ჯარი სიცივისაგან იხოცება. მთავარი პარტიები, ,,ერთობა და პროგრესი'' და ,,სამხედრო ლიგა'' ერთმანეთში ვერ შეთანხმებულან და ხშირათ ერთმანეთში შეტაკებაც უხდებათ. ,,სამხედრო ლიგის'' ბელადებმა გააცხადეს, —თუ ომი გამოცხადდა სამშობლოსთვის უკანასკნელი სისხლის წვეთამდი ვიბრძოლებთო. ზავის ჩამოგდებას არ დავეთანხმებით, რომ ჩვენმა მტრულმა პარტიამ—,,ერთობა და პროგრესმა'' უმაღლესი მთავრობა ხელში ჩაიგდოსო ოსმალეთის მთავარი შტაბი ომისთვის ემზადება.

საზღვარ გარეთი.

მუკდენი. როგორც ჩინეთის წყაროებიდან იუწყებიან, დუდუმ მიიღო პეკინიდან მანჯურიისა და მონგოლეთის კომპანიის საბოლოოთ შემუშავებული პლანი და აგრეთვე მოწერილობა, რომ მონგოლეთისკენ თანდათან წაიწიოს. ჩრდილოეთ მონგოლეთის საზღვრებზე ჯარების ოპერაცია დაიწყება მარტში.

ვენა. ავსტრია უნგრეთში 1912 წელში 157 მილიონი კრონის ოქრო გადაუდნიათ, 1911 წ. კი 1100 მილიონი კრონისა.

კრაკოვი. კრაკოვის კონსერვატიული პარტიის კრებაზე გრაფმა ტარნოვსკიმ გააცხადა: თუ მდგომარეობა გამწვავდა, პოლონეთის ერი ავსტრია-უნგრეთის ჯარის მფარველობის და განკარგულების ქვეშო უნდა დარჩეს და ამიტომ პოლონეთის საკუთარი აჯანყება სახიფათო შეცთომა იქნება და ამ შემთხვევაში გალიციის მცხოვრებთა ეროვნული საკითხის უმაღლეს ინსტანციათ პოლონეთის კოლო უნდა იქნესო.

სტანისლავოვი. გადაიცვალა სეიმის დეპუტატი წევრი რუსეთის ძველი პარტიისა—კრინიცკი.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატაში ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის ბილის განხილვის დროს ძლიერი კამათი იყო.

ტოკიო. საზღვაო უწყებამ მაიძურიდან კონტრ ნადმიანი გემი გაგზავნა, რომელმაც ქვებზე გარჩენილ გემს ,,პოლტავა''-ს უნდა უშველოს.

ბერლინი. გერმანიის ქალაქების კავშირის საბჭომ საჭიროთ სცნო საჩქაროთ გაძლიერება გერმანიის სამხედრო ძალებისა და ამასთანავე დაადგინა შემოწირულება გამართონ. საბჭოს რეზოლუცია იმპერიის კანცლერს მოხსენდება.

თავრიზი. სეფეხდარი რუსის ჯულფას მივიდა. ის თფილის მიდის.

რუსეთი.

მერვი. ძლიერი ქარ-ბუქის გამო მრავალი პირუტყვი იღუპება.

ქერჩი. ყინვა დნება, რეიდი ყინვისგან გაიწმინდა.

პეტერბურგი. უმაღლესათ დაამტკიცეს მინისტრთა საბჭოს წესდება, რომლის ძალით უშედეგოთ დასტოვეს უქვეშევდომილესი პეტიცია ფინლიანდიის სეიმისა ამ ქვეყნის სხვადასხვა საკითხების შესახებ შემუშავებული.

ზოგიერთი გუბერნიების უფროსთა საბჭო საქმეთა სამინისტროს მართველის თავჯდომარეობით 2 თებერვალს მოხდება. საბჭო განიხილავს კანონ-პროექტებს პოლიციის რეფორმებისა და საპასპორტო წესდების შესახებ.

დასრულდა მუშაობა იმის შესახებ, თუ რა ზომები უნდა მიიღონ, რომ ეკატერინოსლავში გაძლიერებული ავაზაკობა შემცირდეს.

სახალხო თავისუფლების ფრაქციის სხდომაზე გულის დამბლით უეცრათ გადაიცვალა სათათფიროს წევრი რიაზანის გუბერნიიდან.

როსტოვი. უმაღლესი ნებართვით 1 თებერვალს გაზეთ ,,რუსკი ინვალიდის'' ასი წლის არსებობის გამო იუბილეს გადაიხდიან.

ლიბავა. ზღვაზე ღელვაა. მუშა ორთქლმავალი ,,გენერალი გურკო'' ღელვამ გაიტაცა.

მოსკოვი. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის ჯუნკოვსკის თანდასწრებით ლაზარევის სასაფლაოზე უცნობი წყაროებიდან ძეგლი დაუდგეს სატუსაღოს 4 ზედამხედველს, რომლებიც კატორღელმა ტუსაღებმა დახოცეს.

კლინი. პეტროვის საზოგადოების გლეხებმა დაადგინეს ხუტორის მიწათმოწესრიგების კანონის გამოცემისთვის ხელმწიფე იმპერატორს ერთგული მამულიშვილობის გრძნობა გაუცხადონ.

პეტერბურგი. სენატმა გაამართლა სტავროპოლის სოლქო სასამარ. თავჯდომარე განოტო, რომელსაც იმის ბრალი ედებოდა, რომ სტავროპოლის მაზრის წევრის ევდოკიმოვის საქმეს რევიზია არ გაუკეთა, რის გამოც ევდოკიმოვმა თავი მოიკლა.

ჰელსინგფორსი. სასახლეში გაიხსნა ფინლანდიის მორიგი სეიმი. გენერალ-გუბერნატორმა რუსულად მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა. შემდეგ ეს სიტყვა შვეტურსა და ფინურ ენებზე გადათარგმნეს. ტოკიომ სეიმის მაგივრათ პასუხი გასცა და ეს პასუხი რუსულათ გადათარგმნეს.

რიგა. დათბა, ყინვა დაცხა და ნავსადგური ყინვისაგან გაიწმინდა.

დონის როსტოვი. ავაზაკებს, რომელნიც აქსიზის მოხელეს თავს დაესხენ და 5000 მანეთი გაიტაცეს, გუბერნატორის წინამძღოლობით დაედევნენ. ფულის ბევრი ნაწილი ნახეს.

ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიის არქივში.

ქ. ქუთაისში არ არსებობს ისეთი დაწესებულება, სადაც მსურველს შეეძლოს საქართველოს შესწავლა. ვისმე რომ შრომის დაწერა უნდოდეს, უეჭველათ თფილისს უნდა ჩავიდეს მასალების შესაკრებათ; ამას კი დრო სჭირდება, ხარჯი მოსდევს, მერე კიდევ თუ სამსახურის ან ოჯახის კაცია მოცალებაც არ ექნება. დაიბადა აზრი ქუთაისში დავთარხანის (არქივის) მოწყობისა. მიზანი ამ დავთარხანისა იქნება შეკრიბოს მასალები საქართველოს შესახებ ყველა ენაზე. დავთარხანა მოეწყობა ქართველ-კათოლიკე მოძღვართა სადგომში, სადაც უკვე აღმოჩნდა ათასამდი წიგნი სხვადასხვა ენებზე. მომეტებული ნაწილი ამ წიგნებისა იტალიურ ენაზეა და იმ იტალიურ წიგნებში არის, სხვათა შორის, მამა თეინერის ნაწერები—„Honuments Historigues de Russie“—მიწერ მოწერა რუსის მეფეებსა და რომის პაპს შორის. ამ წიგნით, სხვათა შორის თავის ისტორიის შესადგენათ ხელმძღვანელობდა მამა მიხეილ თამარაშვილი ვატიკანის მდიდარ დავთარხანაში ქ. რომში. ამ წიგნებში ვიპოვეთ ორი წერილი: ერთი ვახტანგის მიერ 29 ნოემბერს 1722 წ. ქ. თფილისიდან მიწერილი პაპა ინოჩენციო მეთორმეტესთან*) მეორე, საქართველოს არქიეპისკოპოზის ექთიმეს წერილი პაპთან 1687 წ.**) ეს წიგნი ეკუთვნის ქუთაისის, კაპუჩინების შემდეგ მოსულს, ქართველ-კათოლიკეთა მოძღვარს მამა ანტონ გლახაშვილს, რომელსაც წიგნი საჩუქრათ მიუღია ქ. რომში თვით ავტორისაგან 15 ივლისს 1867 წ. და აგერ 45 წელიწადია ელის მკვლევარს.

ფრანგულსა და გერმანულ წიგნებში, რაც კი შეეხება საქართველოს, არაფერი აღმოჩნდა, თუმცა შემოწირულობას შემდეგ მოგვევმატა ოთხი წიგნი, მაგ. Villeneuv-ის ,,საქართველო'', პროფესორ ხახანაშვილის ,,საქართველოს ისტორია'', Baron Ernouj-ის ,,კავკასია'' და Culhenkian-ის ,,კავკასიაში''.

რუსულ წიგნებშიც არის ორიოდე საინტერესო წიგნი. ყველაზე ნაკლები ქართული წიგნები იყო, მაგრამ სუყველა ძველი და ხელთნაწერი, მაგალითად:

1) იტალიურ-ქართული გრამატიკა და ლექსიკონი; პირველ გვერდზე გავარჩიეთ: ,,კათოლიკე პატრების მონასტრისა. ქ: თქვენის: სიკეთის: და: კარგი: ყოფის: ესე წიგნი მონასტრისა არის, არავინ არ''... (შემდეგ აღარ ეტყობა). მხოლოდ გვერდის ბოლოს მოყვანილია იტალიურათ: ,,Questo lebro è stato scritto l'anno 1724''. (ეს წიგნი დაწერილია 1724 წ.); ამ წარწერის ქვეშ ნიშნებია წარწერისა, მაგრამ დრო და ჟამს გაუქრია. წიგნი რომ ქართულის მცოდნე უცხოელის ნაწერია, ამას მოწმობს მესამე ნაწილში მოყვანილი სიტყვები და მისი თარგმანი: ,,Di S. Pietro e Paolo—ფეთრე და ფავლობა'', წიგნი თავდება შემდეგი სიტყვებით: ,,ადამის: ტომო: მოიგონე: რომ: მიწა: ხარ: და: მიწათ: გარდაიქცევი:''

წიგნი ხელნაწერია და 200 ფურცელზე მეტს შეიცავს.

2) ოთხ-კუთხი ყდა გადაკრული რვეული, ხელნაწერია. პირველი გვერდი ყველაფერს გვეუბნება: ,,საქრისტიანო მოძღვარება ყოველი ქრისტიანეთათვის და საჭირო ცხონებისათვის. მხედრული ენით თარგმნილი და აღწერილი პატრი მარიოსაგან წმ. მამა ფრანჩისკეს კაფუჩინის რიგისაგან: ნემსის (sic) გვარისა ქალაქსა შინა ტულპეტის შობილსა: ჰოომის წმ. კრებისაგან მოვლინებული საქადაგოდ საქართველოსა შინა; შემოკრებილი და აღსრულებული წელს უფლისასა 1809 წ.: მერმედ გარდაწერილი და განწმენდილი მამა ანტონ თუმანიშვილისაგან სამოციქულო მისიონერისა ქალაქსა ქუთაისისასა: წელსა უფლისასა 1828-სა იანვრის 10-სა: სასარგებლოდ საუკუნო ცხოვრებისა სულისა მეშურნე ძმათა და დათათვის''.

3) ხელნაწერი იტალიურ-ქართულ-ლათინური ლექსიკონი მშვენიერი ქართულის ენით დაწერილი, ორ ტომათ; თითო ტომი შეიცავს 300 თაბახს; ამ წიგნის ავტორის ვინაობა ვერ შევიტყვეთ. ყველა ავტორი წიგნს იწყებს და ათავებს სიტყვებით ,,სახელითა ღვთისათა'', მაგ., ერთ წიგნს ბოლოში აწერია: ,,მე ამის დამწერი ვარ დიაკვნისა შვილი და სახელათ მქვია ის, რაც მქვია''. პირველი ტომის პირველ გვერდზე იტალიურათ სწერია: ,,სახელითა უფლისათა ხელ ვყოფ ამ ლექსიკონის წერას პირველათ ყოვლისა სადიდებლათ ღვთისა და შემდეგ კი სასარგებლოთ ყველა იმ ძმათა ჩემთა ქრისტეს მიერ მცოდნეთა ამ იბერიულ ენისა''. იქვეა ქართულად შვიდი პირველი სიტყვა მოყვანილი; მეორე გვერდზე წმ. ავგუსტინეს სიტყვებია და მესამეზე იწყებს ლექსიკონს, მხოლოდ შემდეგ სიტყვებით სახარებიდან სამს ენაზე (იტალ. ლათინ., ქართ.): ,,აბრაჰამსა რწმენა ღმერთი შეჰრაცხა მას სიმართლეთ“. მეორე ტომის პირველ გვერდზე ლათინურათ და მერე ქართულად სწერია: „ნუ ჩუჰნთვის, უფალო, ნუ ჩუჰთვის, არამედ სახელსა შენსა ეც დიდება“. ლექსიკონის დასაწყისში კი შემდეგია: „არა საქმეთაგან სიმართლისათა, რომელნი იგი ვჰქმენით ჩვენ, არამედ წყალობითა თვისითა მიხსნნა ჩვენ ბანვითა მით მეორეთ შობისათა, განახლებისა სულისა წმიდისათა. ტიტეს გ.“.

4) ისტორია ასურეთისა, სპარსეთისა, საბერძნეთისა, რომისა, რუსეთისა და საქართველოსი—აწერილი ბატონიშვილის დავითისაგან 1800 წ. წიგნი ხელნაწერია და შეიცავს 200 გვ.; აქვე მოვიყვანთ წინასიტყვაობას: „სადიდებლად წმინდისა ერთ არსისა ცხოველ მყოფელისა და განუყოფელისა სამებისა მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა: დროსა უკეთილეს მსახურესისა დიდებულისა გიორგი მეცამეტისა ყოვლისა საქართველოსა და კეთილ მორწმუნისა დედოფლისა მარიამის ციცისშვილისა ასულისასა და კეთილ მორწმუნისა მეფეს ძეთა და ასულთასა. კურთხევითა უნეტარესისა და უწმინდესისა მეფისა ძისა ანტონი პატრიარქისა ყოვლისა საქართველოისათა. დაიბეჭდა წიგნი ესე ნარკუჰვ სამეფოსა ქალაქსა ტიფლისის. დასაბამიდან სოფლისა ჳ. ტ. Ც. ხოლო განხორციელებითგან სიტყვისა ღმრთისა. ჩყ. თვესა მარტისა. ბაგრატიონისა ქართლისა და კახეთისა მეფისა გიორგი მეთცამეტისა პირმშო ძისა ლენერელ მაიორის და კავალერის დავითისაგან ქმნული ისტორია რომელსაც ეწოდების ნარკუჰვ“...

5) „განხმული ჯოჯოხეთი წინაშე ურწმუნოთა ქრისტიანთა. რათა შეშინდნენ და არ შთავარდნენ მას შინა. გინა განზრახვანი ტანჯვათა ჯოჯოხეთისანი რათა ევლტოდეთ მათგან რამეთუ დავით წინასწარმეტყველი იტყვის: ცოცხლით შთახდენ იგინი ჯოჯოხეთად და წმ. ბერნარდე ეპისტოლესა შინა მონაზონთა მიმართ ამას თარგმანობს. და იტყვის: „რათ მკუდრივ არ შთახდნენ“. ვერ ვიპოვეთ, სად არის დაბეჭდილი, ან რა წელს, ან ავტორი ვინ არის; მხოლოდ წინასიტყვაობაში მთარგმნელი ბოდიშს იხდის, რომ კარგათ არ იცის ქართული; გვამცნებს აგრეთვე, რომ წიგნი გადმოთარგმნილია ლათინურიდან და ზოგი წინადადება დაბადებიდან იძულებული ყოფილა ეთარგმნა ლათინურიდან, რადგან ხელთ არ ქონია ქართული, ბერძნულიდან ნათარგმნი, დაბადება. წიგნში მოთავსებულია ერთი სურათი (ავტორის ფანტაზია)—ადამიანი ჯოჯოხეთში, ხელით ნახატი. წიგნი ხელნაწერია, 360 გვ.

6) Dottrina Cristiana—საქრისტიანო მოძღვრება გინა წურთნა შვიდთა საიდუმლოთა ზედა გარდმოთარგმანებული იტალიანურ ენისაგან ქართულს მხედრულს ენასა ზედა. საქართველოს გორელი ტლუკაანთ დავითისაგან. მთავრობასა კლემენტოზ მეთორმეტე რომის პაპისა. სასწავლოსა შინა უცხოთასა, რომელსა ეწოდების ფროფაგანდა ვიდე სადიდებლად დედისა ღვთისა მარიამ ქალწულის უმანკო ჩასახვისა და სასარგებლოდ სულთა სულიერთა ძმათა და დათა ქრონიკონს ქრისტესი. ჩღლგ, და მეორედ დაიბეჭდა ქრონიკონის ჩღჟზ ბძანებით უფროსთა“. პირველათ ეს წიგნი ქართულათ დაბეჭდილა 1730 წ., ხოლო მეორეჯერ 1797 წ. ჩვენ კი გვაქვს მეორე გამოცემა. სათაური და წინასიტყვაობა ლათინურათაა, რადგან დაბეჭდილია ქ. რომში, შემდეგ კი მთელი მოძღვრება ქართულადაა: წიგნი 400 გვ. შეიცავს და ძლიერ სხვილი ასოებით“ დაბეჭდილი.

7) პატარა ლოცვის წიგნი სამს ენაზე (ქართულ, თათრულ და სომხურ) დაწერილი ქართულად ასოებით. წიგნი რომ ლოცვისაა, თვით ქართული, მშვენიერი ენით თითქმის ლექსებით დაწერილი ლოცვები გვიმტკიცებს, მაგრამ რას ნიშნავს ეს სამი ენა, ამისი ისტორია მეტათ საინტერესოა. ცოტა რამ ამის შესახებ თამარის შვილსაც აქვს. ახალქალაქისაკენ ყოფილა ერთი სოფელი, ველი, სადაც ქართველები ცხოვრობდენ, საქართველოში შემოსევის დროს თათრებს ქართველების გამამადიანება ნდომებიათ*). მაგრამ ახლათ ჩამოსულ მისიონერებს მოუქცევიათ ქართველი ველელები**) კათოლიკობაზე და წირვალოცვა მუდამ ქართულად ყოფილა. და რადგან შემდეგში ქართველების ეკლესიებში სომხებმა ფეხი მოიდგეს, იქ გამეფდა სომხური წირვა-ლოცვა, რათ გვინდა ასე შორს წასვლა. ავიღოთ დღევანდელი მდგომარეობა ქართველ-კათოლიკეთა ეკლესიების ახალციხის მაზრაში. სუყველგან სომხურათაა წირვა-ლოცვა. თუმცა მრევლი სულ ქართველია, სოფლებში არ ესმით სომხური. ამის წინაღმდეგ ამ ათი-თუთხმეტი წლის წინათ გაილაშქრა მამა იოვანე გვარამაძემ (ვინმე მესხი). მას აუკრძალეს ქართულათ ქადაგება, სომხურათ უნდა იქადაგოო. მამა იოვანემ კი პირდაპირ გააცხადა: „ჩვენ ქართველები ვართ და არა სომხებიო; ხალხს იმ ენაზე უნდა უქადაგო, რა ენაც ესმისო“. ამას შემდეგ მან თათრულად დაიწყო ეკლესიაში ქადაგება. სულ ადვილი შესაძლებელია, რომ ეს პატარა ლოცვანიც სამ ენაზე იმასთანა მდგომარეობის შემდეგია. ნაწერი ყველაზე მეტი ქართულ ენაზეა, მეორე ადგილი უკავია თათრულს სომხური კი სულ ცოტაა. წიგნი ხელნაწერია და შეიცავს 450 გვ.

8) „თომა კემფელი, ოთხი წიგნი ქრისტეს თან შედგომასა ზედა, რომელი იყო ბერი ეკლესიერი, წესისაგან წმ. აგვისტინესი“. ეს წიგნიც ლათინურიდან გადმოთარგმნილია გორელი ტულუკაანთ მიერ. წიგნი ხელნაწერია 1724 წ. მოხდილია და შეიცავს 600 გვ. ეს წიგნი, როგორც თვით მთარგმნელი ამბობს წინასიტყვაობაში, ,,ყოვლის ქებისა ღირსი არის და თუ ამას ასრე არ დაიჯერებთ, სცადეთ თქვენვე თქვენში. წაიკითხეთ და მაშინ შეიტყობთ სიტყვების ძალსა, და სჭამს ზეციერს მანანასა, რომელსა შინა არიან ყოველნი გემონი. ეს წიგნი არის ყოვლის სულის ჭირის წამალი, ამ წიგნში იცნობის დაუსრულებელი ღვთის განგებულება, ამაში არის მოწყენილი გულის დადება, ამით კაცი მრავალს რამესა ისწავლის''... სხვათა შორის ავტორს წინასიტყვაობაში მოყავს ერთი ,,მოწმობა არაბის ფაშისა'', რომელიც ,,უწინ ქრისტეანთ ყოფილიყო''. ფაშასთან მოსულა ერთი პატრი, რომლისათვისაც ფაშას უჩვენებია თავისი მდიდარი წიგნთსაცავი და იქვე ამოჩენილი ეს კემფელის

---

*) იხილეთ შ. თამარაშვილის ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. გვ. 340.

**) ibid 840 გვ.

*) იმისთანა სოფლები, სადაც გამაჰმადიანებული ქართველები ცხოვრობენ, დღესაც ბევრია. მაგ. აწყურის და ახალციხის შუა წყალგაღმა არის სოფელი საყუნეთი, სადაც ქართველი ეკლესია მაჰმადიანებს კარგათ აქვთ შენახული. მცხოვრებნი ამ სოფლის ყველა გამაჰმადიანებული ქართველებია. ქართულს მშვენიერათ ლაპარაკობენ. ს. ა.

**) დღეს იმ ველელებიდან, როგორც რომ გავიგეთ, თვით სოფელ ველში აღარავინ ცხოვრობს. ს. ა.

ჭურჭლეულობისა და ავეჯეულობის მაღაზია ქ. ქუთაისში

ფ. ს. ფილიპოვისა

ყოველთვის მოიპოვება დიდძალი რჩეული ფაიფ… რისა და ფაიანსის ჭურჭლეული: საუცხოვო ბრ… ლისა და მინის საქონელი, საუკეთესო ლამპ… ვარშავიდან და საზღვარგარეთიდან, თურქულ… ემალ გამოვლებული ჭურჭლეული, თეფში…

…მანის, ალპაკა და სპილენძის ქვაბები, ყავადნები და სხვა სამზარეულო ჭურჭელი. სამოვრები, ნავთის სამზარეულოები და ყოველივე საოჯახო ნივთი. ვერცხლარევი და ბრინჯაოს [illegible] საქანელი. … მოხრილი სუფრის ყოველგვარი და და ბამბუკის ავეჯეულობა, ვარშავისა და ინგლისისა ქარხნებიდან ლოგინები. კედლისა და საპირფარეშო სარკეები. სასუფრე კლიონკები და იატაკზე საფენი ლინოლეუმი, ს… ღვარგარეთისა და რუსეთის გიტარები, მანდოლინები, ბალალაიკები, პატე—გრამაფონები და მათი ფირფიტები, პიანინები და ყოველგვარი საარგანო შემკობილება. ელექტრონული ლამპები და ყოველგვარი მას… ყობილი, ორთქლით მრეცხავი მანქანები და საეკლესიო მოწყობილებები, დიდძალი რჩეული შპალერი თოფი 8 კაპიკიდან ვიდრე მანეთ-ნახევრამდე. საუკეთესო ქარხნის მბეჭდავი მანქანის წარმომადგენლობა … თაისის გუბერნიისა და ბათომის ოლქში მეკუთვნის მხოლოდ მე. ფასები მეტად დაკლებულია.

მიღებულია

ცნობილი აბრეშუმის თესლი

ხ. ხრისტადულიდის

ერთერთი წარმო-დგენელი მთელ ამიერ
კავკასიისა სავაჭრო სახლი

ი. გოვიელოვის ძმ-ბი ქუთაისში

9

წიგნი თათრულ ენაზე. ფაშას ეთქვა პატრისათვის ,,ეს ქრისტეს მიდევნების წიგნი უფრო დიდათ მიმაჩნია ვირემც სრულ ყოველნი წიგნები მაჰმადისაო''... თურისთვის სთარგმნა ქართული ენაზე ეს წიგნი, მთარგმნელი წინასიტყვაობაში გვეუბნება. ,,აწე ქრისტეს მიერ ძმანო სულიერნო, რადგან ეს წიგნი თითქმის ყოველთ გვართ ენაზე გარდათარგმანებული არის აწე მე ვიფიქრე ქართულის გვარი ამ მადლისაგან არ გამოვარდეს და არც დანატრულდეს აწე ქრისტეს მიერ თქვენმა სიყვარულმა შემძრა და გადმოვთარგმანე ეს ქრისტეს მიდევნების წიგნი, ლათინურის ენისაგან ქართულის ენისა ზედა და ასრე იცოდეთ, რომ ეს წიგნი ყოვლის ქების ღირსი არის, ამიტომ რომე არა თუ მარტო მორწმუნეთაგან მაგრამ ურწმუნოთაგანაც დიდათ მიჩნეული არის ამ წიგნმა ყოვლის ქვეყანას გზა გახსნა''...

ეს წიგნი ქართულ ენაზე დაბეჭდა მამა ანსელმო მღებრიშვილმა.

ბ. ნიკოლომაურის დახმარებით 1890 წ.

ამ წიგნებს გარდა არის ვახტანგ მეფის კანონები ხელნაწერი და კარაბადინი (ძველი ქართული წამლობა), ხუცურათ დაბეჭდილი ქ. მოსკოვს ფსალმუნი და სხვადასხვა. არის სხვადასხვა ქაღალდებიც; მცირე ნაწილი უკვე გავარჩიეთ და, სხვათა შორის აღმოჩნდა ძველი საბუთები, მაგალ. ქ. აფხაზის თავადის ლევან შარვაშიძის 1809 წ. 4 თებერვალს ყულევიდან (Редут-Кале). მარიამ ბატონიშვილის და დავით აკოფაშვილის 1795 წ.

ამ წიგნის აღმოჩენამ გვაფიქრებია რომ შეიძლება სულ ადვილათ ქართველი საზოგადოების დახმარებით მოვუყაროთ თავი საგულისხმო წიგნებსა და საბუთებს.

მივმართავთ ქართველ საზოგადოებას მოგვაწოდონ ყოველგვარი წიგნები, ისტორიული იქნება ის თუ სხვა დარგიდან ქართული თუ რუსული, ახალი გამოცემა თუ ძველი და ამ შემოწირულობით საძირკველი ჩავუყაროთ ამ ახალ საქმეს ეროვნულ ნიადაგზე.

სოსო ასლანშვილი.

ქ. ქუთაისი.

P. S. ამ ოთხ დღეში შემოვიდა შემოწირულება ქართულ წიგნებით (500 წიგნი), რისთვისაც ულრმეს მადლობას ვუცხადებთ მამა დამიანე საკაშვილს, როზა სიდავას ასულს, ანტონ მეფისაშვილსა, ბაჯიოლლების ოჯახს, თინათინ კოკოჩაშვილის ქალს კოწია აკოფაშვილს და კოწია კოკოჩაშვილს. სიხარულით ვეგებებით ახალგაზდები იმას, რომ ამ საქმის სათავეში თვით მამა დამიანე ჩადგა, რომლის სახელზეც შეიძლება გამოიგზავნოს წიგნები თუ სხვა რამ ისტორიული საბუთი. **ს. ა.**

რედაქციისაგან: დიახ დიდათ სასარგებლო და საჭირო საქმეთ მიგვაჩნია ისეთი წიგნსაცავის ან არქივის მოწყობა ქუთაისში, სადაც მსურველთ შეეძლებათ მოიპოვონ საქართველოს შესახებ ძველი და ახალი ისტორიული თუ სხვა მასალები სხვადასხვა ენაზე. ასეთი დაწესებულება დიდათ შეუწყობს ხელს სამეცნიერო კვლევა-ძიებას. ხოლო ვინაიდან ქუთაისში უკვე დაარსდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელსაც გარდა მუზეუმის მოწყობისა, მიზნათ აქვს ისეთი ბიბლიოთეკაც იქონიოს, სადაც მეცნიერს თუ სხვა მკვლევარს შეეძლოს იპოვოს საჭირო მასალა, ამიტომ სწორეთ კარგს ინებებენ ჩვენი ფიქრით, თუ ქართველი კათოლიკეთა ბიბლიოთეკას მისი გამგენი ისტორია—ეთნოგრაფიის ქუთათურ საზოგადოებას გადასცემენ. ამ საზოგადოებას უკვე მოეპოვება დროებითი ბინა როგორც მუზეუმისთვის, ისე ბიბლიოთეკისათვისაც ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში. გაცილებით ემჯობინება, რომ ყოველი დასტამბული თუ ხელნაწერი მასალამ სპეციალურათ ამისთვის დაარსებულ საზოგადოებაში შეგროვდეს, ვიდრე სხვაგან კიდევ კერძო პირთან, ყოველ ორგანიზაციის გარეშე. ვიმედოვნებთ, რომ განზრახული არქივის მოწყობის თაოსანი, მამა დამიანე საკაშვილიც სწორეთ ასე შეხედავს საქმეს და ამ შემთხვევაში ქართველ საზოგადოებას ორათ არ გაყოფს. **რედ.**

გურია

ნიგოითი. ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ აქაური საზოგადოება დიდ გასაჭირშია ათასგვარი გადასახადებისაგან. აქ დაარსეს წვრილი საკრედიტო ბანკი, იმ იმედით, რომ ცოტათი მაინც შეემსუბუქებიათ ტვირთი, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ, პირიქით უარეს გაჭივრებაში ჩავარდით. ფუთი სიმიდი რო მანეთად უჯდებათ და კიდევ მეტათ, ცხრა-ათ შაურათ დაყიდეს, ამ ბანკის ვალის გასასტუმრებლათ. ამ სიკეთესთან ერთად აქ მაგრათ ფეხი მოიკიდა მტრობა-შურმა, კერძო ინტერესებმა. საკმარისია, აქაური ბანკის გამგეობის ან საბჭოს წევრთან კარგი დამოკიდებულება გქონდეს, რომ ფული სურვილისამებრ მიიღო, თუ არა და ბანკის სიახლოვეს ვერ გაიჭაჭანებ. აშკარაა ასეთ პირობებში ბანკის საქმე წინ ვერ წაიწევს. ამნაირვე ციცხლში იწვის მახლობელი სოფ. ,,ქვიანი''. აქაც მტრობა-შური, აქაც კერძო ინტერესები და სხვა და სხვა. ჩვენში არის აგრეთვე კოოპერატიული დუქანი, რომელსაც წევრები ბლომათ ყავს; ვაჭრობაც კარგი აქვს. არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არ ვსთქვა აქაურ უფასო წიგნ-საცავ სამკითხველოზე, სამკითხველოში სადაც თითქმის ყველა ქართული გაზეთი მოდის და აგრეთვე რამდენიმე რუსულიც, ორ მკითხველსაც ვერ ნახავთ. გასაკვირია ის გარემოებაც, რომ სამკითხველოს უკანა საწყობში სიმიდის საწყობია გამართული. ადგილობრივი ინტელიგენცია უსაქმობაში ატარებს დროს; საზოგადო საქმეები მას სრულიად არ აინტერესებს. მხოლოდ უკბილო ოხუნჯობითა და ბანქოს თამაშით იქცევს თავს. **ს. ახობაძე.**

წერილები რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშვალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო სოფელი ზანის მცხოვრებს ილარიონ გვაძაბიას, რომელმაც ჩემდამი რწმუნებულს ეკლესიას შემოსწირა ოცი მანეთი და სამთუმნათ ღირებული შანდლები.

დეკანოზი კოსტანტინე ბერიძე.

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ მოათავსოთ თქვენ გაზეთში 6 იანვრის წარმოდგენის ანგარიში. წარმოადგინეს პატარა კახი ქართული შკოლის შენობაში ამავე შკოლის სასარგებლოთ წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა და ხალხიც ბლომათ დაესწრო; იყვენ ქართველებს გარდა ოსები და რუსები. უადგილობის გამო ბევრი შინ დაბრუნდენ. ბილეთები გაიყიდა 158 მან. 10 შ. ბუფეტმა ივაჭრა—93 მ. 71 კაპ. ხარჯი იყო 49 მან, 16 კაპ. დარჩა წმინდა შემოსავალი 154 მან. 78 კაპ. დიდ მადლობას ვუძღვნი ბ.ბ. მასწავლებლებს და სცენის მოყვარეთ შრომისთვის. დიდი მადლობის ღირსი არიან აგრეთვე ქ-ნნი ნადეჟდა ანდრიევსკისა, და ნინო უტურაშვილისა, რომელთაც კეთილ ინებეს და ბილეთები გაყიდეს.

აგრეთვე მადლობას ვუცხადებ კავკავის ქართ. შკოლის მასწავლ. ვარ. ბურჯანაძეს, და გიგო რაზმაძეს დახმარებისათვის.

წარმოდგენის გამგე **ბ. მეტრეველი.**

რედაქტორ-გამომცემელი
გ. ე. ჭელიძე

სამეცნიერო პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

„განათლება"

მიიღება ხელისმოწერა 1913 წლისათვის.
(წელიწადი მეექვსე).

1913 წელში ჟურნალი „განათლება" ჩვეულებრივათ გამოვა ყოველ თვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორი თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან და სიტყვაკაზმული მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები. პედაგოგები და პოეტები.

იანვრიდან ჟურნალში იქნება ცალკე განყოფილება, სადაც დაიბეჭდება ყოველგვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

წლიური ფასი: ოთხი მანეთი (4 მ.) მხოლოდ სოფლის მასწავლებლებსა და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაუთმობათ წლიურათ **სამ მანეთად**, საზღვარგარეთ 6 მანეთად. ვინც წლიურ ფასს ჟურნალისას იანვრის ბოლომდი გადიხდის, საჩუქრათ მიიღებს განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის მოზრდილ სურათს.

ხელისმოწერა მიიღება თფილისში: ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის" რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ივანე ავალიშვილთან. ქუთაისში ისიდორე კვიცარიძესთან, ბათომში წიგნის მაღაზია „განთიადი", ამ ორ ადგილას იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 2 აბაზი

რედაქცია სთხოვს ხელისმომწერლებს დროზე დაიგვიანონ ჟურნალი.

მისამართი: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія **Л. Г. Боцвадзе.**

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

КНИГИ изд. С. А. КОЗЛОВСКАГО для самообученія: Рѣш. и подробн. объясн. 2—10-ю спос. всѣхъ ариф., алгеб., геомет. и триг. зад. сборниковъ: 1) Верещагина; 2) Малинина и Бур., 3) Гольденберга; 4) Евтушевскаго ч. ч. I и II; 5) Арбузова и Ко; 6) Шапошникова и Вальцова; 7) Киселева; 8) Сорокина; 9) Рыбкина; 10) Кліоновскаго; 11) Минина; 12) Вулиха 13) Давидова; 14) Бычкова; 15) Стеблова; 16) Злотчанскаго; 17) Воинова и др. Скидка 20% при Вашей перес. Подроб. объявл. съ образц. рѣш. зад. высилаю безплатно. Выписивать исключ. по адресу: **Бѣлая-церковь** Кіев. губ., **С. А. КОЗЛОВСКОМУ-**

გ. გორდამის და ს. წერეთლის

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო
ქარხნებისაგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სალებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობანი, შპალიერი,
ციმენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.
ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმოსაწდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხაელის ქუჩაზე № 65.

რა საჭიროა—სოფელში ააშენოთ ქურა (პლიტა), სადაც ოს… ტიც და მასალაც ძნელი საშოვარია, უმჯობესია მიმართოთ

ძმ. ე. და პ. საკაშვილების

სავაჭროს, ქუთაისში.
(მუშკინის ქუჩა საკუთარი სახლი).

იყიდება ქურა (პლიტა), თუჯის ორი „კომფორ… ,,დუხოვკით'', სადაც შეიძლება ჭადის გამოცხობაც. გირჩევთ ჩქარებით იყიდოთ, თვარა მოთხოვნილება ბევრია და ფეჩები … ლიან ცოტა არის მოსული.

მიიღება ხელის-მოწერა

ყოველკვირეულ საზოგადო-ეკონომიურსა და სალიტერატურო ჟურნ…

„კლდე"-ზე.

1913 წლის იანვრიდან ჟურნალი უფრო ფართო პროგრამით გამოიცემა, ჩაერთ… ილიუსტრაციები, კარიკატურები და სხ., მოწვეულ არიან ახალი თანამშრომლ… როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთისა და საზღვარ გარეთიდან. ფასის გად… შეიძლება ნაწილ-ნაწილათაც: 3 მან. და 2 მან. 1 წ. 5 მ., 6 თ. 2 მ. 15 შ., 3 თ. მ. 10…

საზღვარ გარეთ ყველა ფასებს ემატებათ თვეში 5 შაური გადასაგზავნი.

სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და კოოპერატიულ დაწესებულებათ: 1 წ. 4 მ., 6 თ. 2 მ. 10 შ., 3 თ. 1 მ., 1 თ. 2 აბაზი, ცალკე № ორი შაურ…

განცხადების ფასი კანტორასთან შეთანხმებით.

მისამართი: თფილისი Габаевскій пер. № 3.

ШАМПАНСКОЕ
Царица Тамара
Ф.Н.ЧЕЛИДЗЕ КУТАИС

ფილიპე ნ. ჭელიძი…

შამპანიურ
„თამარ მეფე" და
„კოლხიდა"

ოქროს მედალი

სამკურნალო და სუფრის ღვინოები.

ფირმა დაჯილდოებულია სხვადასხვა გამოფენაზე 1 ოქრ… და ხუთი ვერცხლის მედლით. ღვინოები მზადდება სპეცია… რათ ამ მიზნისთვის მოწყობილ სარდაფში მეღვინე სპე… ლისტის მეთვალყურეობით.

ვინც დაუკვეთს არა ნაკლებ 20 ბოთლ…

ქუთაისში მიტანას ფირმა კისრულობს

ფირმას აგრეთვე აქვს განსაკუთრებულათ დამზადებული ლი ღვინოები, შორეულ ქვეყნებში გასაგზავნათ.

პრეისკურანტი მოთხოვნილებისათანავე იგზავნება უფასოთ.

მისამართი: ქუთაისი, ფილიპე ნ. ჭელ…
მიხეილის ქ. საკუთარი სახლი, № 48.

ელექტრო-საბეჭდავი შერაძისა და ქარნაუხოვის, ქუთაისში.